# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 97

“19” მარტი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.125.01.501 და №01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.13.07.021.125.01.501 და №01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 მარტის №21.267.301 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.13.07.021.125.01.501 და №01.13.07.021.125.01.525) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

| ქალაქ თბილისი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, ბინი ნომერი | ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
| 1 | ემზარ ჯარიაშვილი | 16001027038 | სართული 1 | 38.00 | 01.13.07.021.125.01.501 |
| | ეთერ ოჩიაური | 14001029144 | | | |
| 2 | თინათინ ნახუცრიშვილი | 01001020501 | სართული 1 | 53.83 | 01.13.07.021.125.01.525 |